ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა "კ"

ბრძანება:**ბ44. 442623021**

თარიღი:**18/08/2026**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე." ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 84^1 და 84^2 მუხლების, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილებისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცებისა და სტაჟირების მსურველ პირთა შემფასებელი კომისიის შექმნის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 07 ივნისის N: 44.44231586 ბრძანების საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოცხადდეს სტაჟიორის შესარჩევი კონკურსი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

ა. სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურში - 3 /სამი/ ერთეული;

ბ. მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში - 3 /სამი/ ერთეული;

გ. კულტურის,სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურში - 2 /ორი/ ერთეული;

დ. ადმინისტრაციულ სამსახურში - 8 /რვა/ ერთეული, აქედან:

საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილებაში - 1/ ერთი/ ერთეული;

იურიდიულ განყოფილებაში - 2/ორი/ ერთეული;

სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილებაში - 1 /ერთი/ ერთეული;

სერვისების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებაში - 2 /ორი/ ერთეული;

ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებაში - 2 /

ორი/ ერთეული;

ე. ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურში - 2/ორი/ ერთეული;

ვ. საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურში - 3 / სამი/ ერთეული;

ზ. სოციალურ საკითხთა სამსახურში - 2 /ორი/ ერთეული;

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იცის სახელმწიფო ენა;

ბ) სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე(დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მეორე საფეხურზე ან დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების პირველი ან მე-2 საფეხური 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში;

გ. შერჩევის მნიშვნელოვან კრიტერიუმად განისაზღვროს სტაჟირების მსურველი პირის აკადემიური მოსწრება (ქულათა სისტემა-71-100 ქულის მაჩვენებელი ან/და GPA 2.7-4.0)-გასაუბრებისას თანაბარი კანდიდატების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭოთ უმაღლესი მოსწრების კანდიდატებს;

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სტაჟიორად არ მიიღება პირი, თუ:

ა) იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის;

ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;

გ) მან სტაჟიორად მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;

დ) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) თუ სტაჟირების მსურველი პირის მიერ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 1 ნოემბრიდან გავლილი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 12 თვეს.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ **სტაჟირების პერიოდი განსაზღვრულია 2026 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით;**

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების მსურველ **პირს სტაჟირების კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად განესაზღვროს 2026 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.**

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სტაჟირების მსურველი პირის შეფასება ხდება გასაუბრების საფუძველზე.

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება მთავრობის ადმინისტრაციის

მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის //vacancy.hr.gov.ge/ მეშვეობით.

8. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე //vacancy.hr.gov.ge/

9. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

10. ბრძანება, შეიძლება, გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

12. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი